

დამტკიცებულია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს

2013 წლის 15 თებერვლის #3 დადგენილებით

ბოლო განახლება: 2021 წლის 27 დეკემბერი

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

წინამდებარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო შემუშავებულია საქსტატის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით და ეფუძნება შემდეგ სახელმძღვანელოებს:

1. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის სახელმძღვანელო, კონცეპტები და მეთოდები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ., ვაშინგტონი 2020;

Consumer Price Index Manual, Concepts and Methods, International Monetary Fund and others, Washington 2020;

პასუხისმგებელი უწყებები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური (ევროსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, მსოფლიო ბანკი;

https://www.ilo.org/public/english/bureau/stat/guides/cpi/CPI_Manual.html

2. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების პრაქტიკული სახელმძღვანელო“, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2009;

Practical Guide to Producing Consumer Price Indices, United Nations, New York and Geneva, 2009;

პასუხისმგებელი უწყებები: გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური (ევროსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი; გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკის სამსახური;

https://www.uncece.org/fileadmin/DAM/stats/publications/Practical_Guide_to_Producing_CPI.pdf

3. „სამომხმარებლო ფასების ინდექსი“, რალფ ტარვეი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; 1993;

Consumer Price Indices", Ralph Turvey, International Labor Organization, 1993.

4. „სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ევროსტატი, ლუქსემბურგი, 2018;

Harmonised Index of Consumer Prices (HICP), methodological manual, Eurostat, Luxembourg, 2018.

პასუხისმგებელი უწყება: ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური (ევროსტატი).

<https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/9479325/KS-GQ-17-015-EN-N.pdf/d5e63427-c588-479f-9b19-f4b4d698f2a2>

სარჩევი

1. შესავალი	4
1.1 სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მისი გამოყენება	4
1.2 სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი და მისი გამოყენება	4
1.3 სამომხმარებლო ფასების ინდექსის დაფარვა	5
2. სავაჭრო ობიექტებისა და საქონლის (მომსახურების) სახეობების შერჩევა.....	5
2.1 სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შერჩევა	5
2.2 საქონლის (მომსახურების) სახეობების შერჩევა.....	6
3. ფასებზე დაკვირვების სავსელე სამუშაოები	7
3.1 ფასების რაოდენობა და მათზე დაკვირვების ვადები	7
3.2 ფასებზე დაკვირვების მეთოდები.....	8
3.2.1 ფასებზე ადგილობრივი დაკვირვება.....	8
3.2.2 ფასებზე ცენტრალიზებული დაკვირვება	10
3.2.3 ცენტრალიზებულად დადგენილ ფასებზე დაკვირვება.....	10
3.2.4 ვებ სკრეპინგი (web scraping) - მონაცემთა ავტომატიზებული ჩამოტვირთვა სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ვებ-გვერდებიდან.	11
3.2.5 სკანერული მონაცემები.	11
3.3 საქონლის (მომსახურების) სახეობის ჩანაცვლება.....	11
3.4 შესადარისობის კრიტერიუმები.....	12
4. პირობითი ფასების გაანგარიშების (ფასების იმპუტაციის) მეთოდი	13
5. ხარისხობრივი ცვლილების კორექტირება.....	14
6. მონაცემთა კონტროლი.....	15
7. წონები	16
8. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება სხვადასხვა დონეზე	17
8.1 სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლის (მომსახურების) უმცირესი ერთობლიობის ინდექსის გაანგარიშება.....	17
8.2 სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცალკეული ჯგუფებისა და მთლიანი სამომხმარებლო კალათისთვის ქალაქის დონეზე	20
8.3 ინდექსების გაანგარიშება ეროვნულ დონეზე	20
8.4 ჯაჭვური ინდექსი.....	21
8.5 საბაზო ინფლაცია	21
9. მონაცემთა გავრცელება.....	22
9.1 პრეს რელიზი.....	22
9.1.1 ჯგუფების წვლილი მთლიანი ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში.....	22
9.2 სამომხმარებლო ფასების ინდექსის დროითი მწკრივები.....	24

1. შესავალი

1.1 სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მისი გამოყენება

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით.

მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონელი და მომსახურება წარმოდგენილია ფიქსირებული სამომხმარებლო კალათის სახით, რომელიც ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის დანახარჯების სტრუქტურას. სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონელი და მომსახურება შერჩეულია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა საფუძველზე და დაჯგუფებულია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის“, COICOP-ის (Classification of Individual Consumption by Purpose) შესაბამისად.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება საქართველოში **ინფლაციის დონის გასაანგარიშებლად**. ამასთან, სამომხმარებლო ფასების ინდექსი მონაწილეობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში;

2. სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ორიენტირს შემოსავლების, სოციალური დახმარებების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა თანხების ინდექსაციის პროცესში;

3. სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასრულებს დეფლატორის როლს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშების დროს ინფლაციის გავლენის გამოსარიცხად.

1.2 სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი და მისი გამოყენება

აღნიშნული ინდექსის გარდა, საქართველოში იწარმოება აგრეთვე სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი (Harmonized Index of Consumer Prices – HICP). ის გამოიყენება, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ და წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს. ამდენად, ამ ინდიკატორის გაანგარიშებას და გავრცელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით.

HICP ეფუძნება ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის - ევროსტატის მიერ შემუშავებულ ერთიან, ჰარმონიზებულ მეთოდოლოგიას და რეგულაციებს. ინდექსის გაანგარიშებისას მათი ზედმიწევნით დაცვა სავალდებულოა მაჩვენებლის საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ინდექსის მიზნებისთვის გამოიყენება „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის“ ევროპული ვერსია - ECOICOP.

1.3 სამომხმარებლო ფასების ინდექსის დაფარვა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს რეზიდენტების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ პირადი მოხმარების მიზნით საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ცვლილებას. ამისგან განსხვავებით, HICP მოიცავს როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების მიერ მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე პირადი მოხმარების მიზნით საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს.

ინდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა თუ ინსტიტუციონალური დაწესებულებების (საავადმყოფოები, ციხეები, თავშესაფრები და სხვ.) მიერ გაწეულ ხარჯებს.

ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის 6 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში, საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებზე. სამომხმარებლო კალათა იდენტურია ექვსივე ქალაქისთვის. გარდა ამისა, სამომხმარებლო კალათა და ფასების შეგროვების გეოგრაფიული დაფარვა იდენტურია ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და HICP-თვის.

2. სავაჭრო ობიექტებისა და საქონლის (მომსახურების) სახეობების შერჩევა

2.1 სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შერჩევა

ფასების რეგისტრაციისთვის სავაჭრო ობიექტების შერჩევა ხორციელდება მოქმედ ბიზნეს სუბიექტზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. შერჩევა ხდება ქალაქების მიხედვით კალათაში შემავალი სასაქონლო ჯგუფებისთვის (ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალური საქონლისა თუ მომსახურებისათვის) ზომის პროპორციული მიმდევრობითი ალბათური შერჩევის (sequential pps sampling) მეთოდით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$Q_i = \frac{U_i}{Z_i}, \text{ სადაც:}$$

Q_i არის ობიექტების რიგითობის განმსაზღვრელი ცვლადი;

U_i - შემთხვევითი რიცხვი;

$$Z_i = \frac{n \times x_i}{\sum x_i}, \text{ სადაც:}$$

- n არის შესარჩევი ობიექტების სასურველი რაოდენობა;
- x_i - წლიური ბრუნვის მოცულობა i -ური ობიექტისთვის.

აღნიშნული ფორმულის გამოყენებით, Q -ს ზრდის მიხედვით დალაგებული ობიექტების ჩამონათვალთან შერჩევაში ხდება პირველი n რაოდენობის ობიექტი. შერჩევისას გათვალისწინებულია ობიექტების განაწილება ქალაქში რაიონების მიხედვით.

საჭიროების შემთხვევაში, შერჩევაში მოხვედრილი, მაგრამ კვლევისთვის შეუფერებელი ობიექტის ჩანაცვლება ხდება ჩამონათვალში არსებული მომდევნო ობიექტით. ამავე მეთოდით ხდება იმ ობიექტების ჩანაცვლებაც, რომლებიც კვლევის პროცესში წყვეტენ ფუნქციონირებას. ობიექტების შერჩევის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად.

2.2 საქონლის (მომსახურების) სახეობების შერჩევა

სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შერჩევის შემდეგ ხდება ბაზრის გამოკვლევა და სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურებისათვის ყველაზე მეტად გაყიდვადი საქონლის (მომსახურების) სახეობების, ანუ ბრენდების განსაზღვრა. შესაბამისად, შერჩევაში ხდება სამომხმარებლო ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადი სახეობა, რომლის ფასების ცვლილებაც ასახავს სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების დინამიკას.

საქონლის (მომსახურების) სახეობების შერჩევასთან ერთად ზუსტდება და მაქსიმალური დეტალიზებით აღიწერება საქონლის ან მომსახურების მახასიათებლები (სპეციფიკაციები), რომელთა მიხედვით ხორციელდება ფასების რეგისტრაცია. ფასების რეგისტრაციის დროს სპეციფიკაციების ზედმიწევნითი დაცვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რათა ყოველთვის დარეგისტრირებული ფასთაშორისი სხვაობა გამოწვეული იყოს მხოლოდ ფასის ცვლილებით და არა საქონლის (მომსახურების) სახეობის, ან მისი მახასიათებლების ცვლილებით. ზოგ შემთხვევაში, სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნის სწრაფი ცვლილების ასახვის მიზნით, შესაძლებელია გამოიყენებოდეს სახეობის შედარებით ზოგადი სპეციფიკაცია. მაგალითად, ტანსაცმლის შემთხვევაში სპეციფიკაციები ნაკლებად დეტალურია, რადგან ხშირია მოდისა და დეტალური მახასიათებლების სწრაფი ცვლილება.

კალათაში შემავალი თითოეული საქონლისა და მომსახურების სპეციფიკაციის განსაზღვრასთან ერთად ზუსტდება სტანდარტული ზომის ერთეული, რომლის საფუძველზეც იანგარიშება სახეობის სტანდარტული ერთეულის ფასი. სტანდარტული ერთეულის ფასი გამოიყენება მონაცემთა სიზუსტის დადგენისა და ლოგიკური კონტროლისათვის, როგორც ფასების რეგისტრატორების, ასევე ცენტრალური ოფისის მიერ.

3. ფასებზე დაკვირვების საველე სამუშაოები

3.1 ფასების რაოდენობა და მათზე დაკვირვების ვადები

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად ფასებზე დაკვირვებათა რაოდენობა განისაზღვრება საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვალებადობისა და სამომხმარებლო კალათაში ამ საქონლის (მომსახურების) წონის გათვალისწინებით. სამომხმარებლო კალათაში წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების უმეტესობისთვის დაკვირვებების სასურველი რაოდენობა თითოეულ ქალაქში განსაზღვრულია სულ მცირე 6 ფასით; მახასიათებლების ხშირი ცვალებადობის გამო, ელექტროტექნიკისათვის (მაგალითად, კომპიუტერები, მობილური ტელეფონები) ფიქსირდება 20-25 ფასი შესადარი ფასების სასურველი რაოდენობის შენარჩუნების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში ფიზიკურად არ მოიპოვება სასურველი რაოდენობის შესაბამისი სავაჭრო ობიექტი, დაკვირვებების რაოდენობა შეიძლება იყოს 6-ზე ნაკლები. კომუნალური გადასახადებისა და ტარიფებისთვის დასაშვებია 1 დაკვირვებაც.

ფასების რეგისტრატორების მიერ ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის ერთსა და იმავე თარიღში, 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით პერიოდში (სკანერული მონაცემების შემთხვევაში - 1-10 რიცხვის პერიოდში - იხ. 3.2.5).

სპეციალური შემთხვევები:

მეორადი მოხმარების მსუბუქი ავტომობილების ფასების რეგისტრაცია ხორციელდება დაკვირვების პერიოდის ბოლო შაბათ-კვირას. ფასების აღნიშნული სახით რეგისტრაციის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მეორადი მოხმარების მსუბუქი ავტომობილების ბაზრობები მაღალი ინტენსივობით სწორედ კვირის არასამუშაო დღეებში (შაბათ-კვირას) ფუნქციონირებს. შესაბამისად, ამ საქონელზე ფასების რეგისტრაცია ხორციელდება არა თვის ერთსა და იმავე რიცხვში, არამედ კვირის ერთსა და იმავე დღეს.

გამოსაკვლევ სავაჭრო ობიექტში შესაძლოა კვირის კონკრეტულ დღეს რეგულარულად დაფიქსირდეს ფასდაკლება გასაყიდ პროდუქციაზე. ასეთ ობიექტში ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ფასდაკლების იმ დღეს, რომელიც ყველაზე ახლოსაა წინა თვეში აღნიშნულ პროდუქციაზე ფასის რეგისტრაციის თარიღთან.

მაღფუჭებადი საქონლის (ხილ-ბოსტნეულის) ფასების რეგისტრაცია ბაზარში ხორციელდება 11სთ-დან 16სთ-მდე პერიოდში, დილას და საღამოს დაფიქსირებულ ფასებს შორის შესაძლო დიდი განსხვავების გამო.

გამოსაკვლევი ობიექტი დროებით (ერთი ან რამდენიმე დღით) შეიძლება დაიკეტოს სხვადასხვა მიზეზით (აღწერა, რემონტი და სხვ.). ობიექტის ფუნქციონირების

დროებითი შეჩერების ხანგრძლივობის დადგენის შემდეგ, ფასების რეგისტრატორი აღნიშნულ ობიექტზე მიზეზის შესაბამისად მიდის მომდევნო დღეს, ან შემდეგი თვის წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში.

განსაკუთრებულ შემთხვევებში (სადღესასწაულო დღეებში და სხვ.), მოცემულ სავაჭრო ობიექტზე ფასის რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს თვის წინასწარ განსაზღვრული თარიღიდან 2 დღის განსხვავებით.

3.2 ფასებზე დაკვირვების მეთოდები

განასხვავებენ ფასებზე დაკვირვების ორ ძირითად - ადგილობრივი და ცენტრალიზებული დაკვირვების - მეთოდს.

3.2.1 ფასებზე ადგილობრივი დაკვირვება ხორციელდება ფასების რეგისტრატორების მიერ სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების უმეტეს ნაწილზე.

ფასებზე ადგილობრივი დაკვირვებისთვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები:

- ფასების რეგისტრატორი პირადად მიდის დაკვირვების ობიექტზე და აფიქსირებს წინასწარ შერჩეული კონკრეტული საქონლის ან მომსახურების სახეობის ფასს;
- ფასების რეგისტრატორი ინტერნეტის საშუალებით შესაბამისი ვებ-გვერდების გამოყენებით აფიქსირებს წინასწარ შერჩეული კონკრეტული საქონლის ან მომსახურების სახეობის ფასს;
- ფასების რეგისტრატორი სატელეფონო ზარის საშუალებით იგებს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების სახეობის ფასს; ასეთი სახის საქონელსა და მომსახურებას წარმოადგენს:
 - სატრანსპორტო მომსახურება (მატარებლის ბილეთები; ავიაბილეთები; სამოქალაქო საგზაო ტრანსპორტი);
 - კავშირგაბმულობა (ტელეფონის სააბონენტო გადასახდელის, საქალაქთაშორისო საუბრების, მობილურ ტელეფონზე საუბრის, ინტერნეტ მომსახურების ტარიფები);
 - საკაბელო ტელევიზიით სარგებლობის ტარიფი;
 - კომუნალური გადასახდელი (გაზი, წყალი, ელექტროენერგია, დასუფთავება);
 - სამედიცინო მომსახურება (თერაპევტიკისა და სტომატოლოგიის მომსახურება, ქირურგიული და სამშობიარო მომსახურება, სისხლის ანალიზი);
 - ტურისტული მოგზაურობა ქვეყნის გარეთ და სხვ.

საქონლისა და მომსახურების ფასებზე დაკვირვება ხორციელდება საცალო ვაჭრობისა და მომსახურების შემდეგი ტიპის ობიექტებში:

- ბაზრისა და ბაზრობის ტიპის სავაჭრო ობიექტები;
- მაღაზიები;
- სუპერმარკეტები;
- სპეციალიზებული მაღაზიები და სავაჭრო ქსელები;
- საგაზეთო ჯიხურები;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები;
- დასასვენებელი და გასართობი დაწესებულებები;
- ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვ.

ფასების რეგისტრაციის პროცესი საცალო ვაჭრობის ობიექტების მიხედვით ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით:

ბაზრისა და ბაზრობის ტიპის სავაჭრო ობიექტებში ფასის რეგისტრაციის პროცესში ფასების რეგისტრატორი იქცევა ჩვეულებრივი მყიდველის მსგავსად. ბაზრის სხვადასხვა ადგილზე 3-5 გამყიდველის გამოკითხვის შემდეგ იგი აფიქსირებს ყველაზე მეტად გავრცელებულ, ე.წ. დომინირებად ფასს.

მაღაზიებსა თუ სუპერმარკეტების ტიპის ობიექტებში ფასების რეგისტრაცია ხორციელდება საქონელზე მითითებული ფასების მიხედვით ან კონსულტანტთან ფასის დაზუსტების საფუძველზე. ობიექტში ასევე უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია სახეობის ხელმისაწვდომობის შესახებ. რომელიმე სახეობის ზედიზედ სამი თვის (სეზონურის შემთხვევაში - 12 თვის, იხ. 3.3) განმავლობაში გაყიდვაში არდაფიქსირების შემთხვევაში, ფასების რეგისტრატორი ახდენს მის ჩანაცვლებას მსგავსი სახეობით და ფასების რეგისტრაციის კითხვარში აკეთებს შესაბამის მინიშნებას ჩანაცვლებული სახეობის მახასიათებლებთან დაკავშირებით. ჩანაცვლებული სახეობის ფასის რეგისტრაცია ხორციელდება ძველ სახეობაზე ფასის არარსებობის მესამე თვეს.

ინდექსის გაანგარიშებისთვის დარეგისტრირებულ სამომხმარებლო ფასებში გათვალისწინებულია დამატებითი გადასახდელი მომსახურებისათვის, რომელიც ემატება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ზოგიერთი საქონლის ფასს (მაგ: სადილი რესტორანში, ყავა კაფეში და სხვ.). შესაბამისად, ფასების რეგისტრატორი აფიქსირებს ფასს მომსახურების ღირებულების ჩათვლით.

სპეციალური შემთხვევები:

ფასდაკლებების დროს ფასების რეგისტრაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფასდაკლება ეხება იმავე ხარისხის სახეობას, რომლის ფასზეც დაკვირვება ხდებოდა გასულ პერიოდში და ეს ფასდაკლება ხელმისაწვდომია ყველასათვის. ფასების რეგისტრაცია არ ხდება მომხმარებელთა შეზღუდულ რაოდენობაზე გათვლილი ფასდაკლებისას და ასევე წუნდებული ან დაზიანებული პროდუქციის ამოყიდვის მიზნით შემოთავაზებული ფასდაკლებების შემთხვევაში.

დროებითი ხასიათის ბონუსების ან დამატებითი საქონლისა თუ საჩუქრების შეთავაზება:

- პროდუქციის ყიდვისას დამატებითი რაოდენობის შეთავაზების დროს (მაგ. „2 ერთის ფასად“, ან „დამატებითი 20 % უფასოდ“), ზომის ან წონის ცვლილებისას, ფასში არ გაითვალისწინება დანამატი;
- გამოსაკვლევ პროდუქციაზე საანგარიშო თვეში ფასი არ ფიქსირდება, თუ იგი წარმოდგენილია კომპლექტის სახით სხვა საქონელთან ერთად და კომპლექტისგან განცალკევებით მისი ფასის დადგენა შეუძლებელია.

თუ „სპეციალური შეთავაზებები“ მუდმივ ხასიათს მიიღებს, ფასების რეგისტრატორები აცნობენ საქსტატის ცენტრალურ ოფისს, ამგვარი ცვლილების გათვალისწინების მიზნით.

დაგროვების ბარათით მიღებული ფასდაკლება ან საჩუქარი, ან საკრედიტო ბარათის გამოყენების შემთხვევაში არსებული ფასდაკლებები არ გაითვალისწინება ფასების რეგისტრაციის დროს.

3.2.2 ფასებზე ცენტრალიზებული დაკვირვება ხორციელდება საქსტატის ცენტრალური ოფისის მიერ. ეს მეთოდი მოიცავს ცენტრალიზებულად დადგენილი ფასების რეგისტრაციას, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სავაჭრო ობიექტების სათაო ოფისებში. ცენტრალიზებული დაკვირვების დროს მნიშვნელოვანია შემოწმდეს, არის თუ არა ხელმისაწვდომი დასაკვირვებელი საქონელი ან მომსახურება შესაბამის ქალაქებში არსებულ ცენტრალიზებულად მართულ ობიექტებში.

3.2.3 ცენტრალიზებულად დადგენილ ფასებზე დაკვირვება გულისხმობს ისეთი საქონლისა და მომსახურების ფასების რეგისტრაციას, რომელზეც მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე ფასი ფიქსირდება, ან რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულ სპეციალიზებულ სავაჭრო ქსელებში წარმოდგენილ პროდუქციას. ასეთ ფასებზე დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს ფასების რეგისტრატორის ან ცენტრალური ოფისის მიერ, დაფიქსირებული ფასის ყველა ქალაქზე შემდგომი გავრცელებით. ამ ტიპის საქონლისა და მომსახურების მაგალითებია:

- ფარმაცევტული საქონელი;
- ახალი და მეორადი ავტომობილები;
- საწვავი (ბენზინი, დიზელი);
- მატარებლის ბილეთების ტარიფები;
- ავიაბილეთების ტარიფები;
- მობილურ ტელეფონზე საუბრის ტარიფები;
- საბანკო მომსახურების ღირებულება;

- საქალაქთაშორისო საუბრები და ა.შ.

3.2.4. ვებ სკრეპინგი (web scraping) - მონაცემთა ავტომატიზებული ჩამოტვირთვა სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ვებ-გვერდებიდან. ეს წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების შედარებით ახალ მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან შეთანხმების საფუძველზე მათი ვებ-გვერდებიდან მოკლე დროში ჩამოიტვირთოს დიდი მოცულობის დეტალური მონაცემი, შემოდგომი ანალიზისა და ინფლაციის გაანგარიშებაში გამოყენების მიზნით. ამ ეტაპზე ვებ სკრეპინგი გამოიყენება სამომხმარებლო კალათის ცალკეული ჯგუფებისთვის, როგორცაა ელექტროტექნიკა და მეორადი ავტომობილები.

3.2.5 სკანერული მონაცემები. სკანერული მონაცემები წარმოადგენს ე.წ. „დიდი მონაცემების“ (Big Data) ნაწილს. ის წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ობიექტებიდან მიღებულ ინფორმაციას დროის კონკრეტულ პერიოდში რეალიზებული პროდუქციის შესახებ, ე.წ. შტრიხ-კოდების მიხედვით. ფასების შეგროვების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, ამ სახის მონაცემები გაცილებით უფრო ზუსტი, დროული და ფართო მოცვის მქონეა, მისი გამოყენება კი მნიშვნელოვნად ამაღლებს ინფლაციის მაჩვენებლის სიზუსტეს. სკანერული მონაცემების მაგალითი ქვემოთ არის მოცემული.

ცხრილი 1. სკანერული მონაცემების მაგალითი.

პერიოდი	რეგიონი (ქალაქი)	პროდუქტის კოდი (EAN)	პროდუქტის აღწერილობა	კატეგორია	გაყიდული რაოდენობა (ცალი)	პროდუქტის ჯამური ზრუნვა (ლარი)
05.2020	თბილისი	486123456789	არაჟანი "ბრენდი A", 20%-იანი, 400 გრამი	რძის პროდუქტები	100	340
05.2020	ბათუმი	486685431842	მინერალური წყალი "ბრენდი B", პლასტმასის ბოთლით, 1 ლიტრი	წყალი	420	450

სკანერული მონაცემები ყოველთვიური პერიოდულობისაა და მოიცავს თვის 1-10 რიცხვების გაყიდვების შესახებ მონაცემებს, სავაჭრო ქსელებისა და ქალაქების მიხედვით.

3.3 საქონლის (მომსახურების) სახეობის ჩანაცვლება

თუ ერთი და იგივე საქონლის (მომსახურების) სახეობა გაყიდვაში არ ფიქსირდება ზედიზედ სამი საანგარიშო თვის (სეზონურის შემთხვევაში - 12 თვის) განმავლობაში, ადგილი აქვს ამ სახეობის მსგავსით ჩანაცვლებას. შემცვლელი სახეობა ხარისხით და რაოდენობით შესაცვლელთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს.

საქონელშემცვლელის შერჩევა ხდება იმავე სავაჭრო ობიექტში, სადაც გაყიდვაში აღარ ფიქსირდება შესაცვლელი სახეობა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ობიექტში საქონელშემცვლელი არ მოიძებნება, ამ უკანასკნელის დამატება ხდება რეგისტრატორის მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ, შერჩევაში მოხვედრილ, მსგავსი ტიპის სხვა სავაჭრო ობიექტში.

სეზონურია საქონელი (მომსახურება) რომელიც:

- არ მოიპოვება ბაზარზე წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
- ბაზარზე გაყიდვაშია მთელი წლის განმავლობაში, თუმცა, სეზონისთვის შეუსაბამობიდან გამომდინარე, რეგულარულად ახასიათებს ფასის მკვეთრი მერყეობა.

სეზონური საქონელი (მომსახურება) შეიძლება იყოს ხილ-ბოსტნეული, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გართობისა და დასვენების ობიექტების მომსახურება. აღნიშნული საქონლის (მომსახურების) ფასებზე დაკვირვება ხდება შესაბამისი სეზონის განმავლობაში. წლის დანარჩენ პერიოდში კი ფასების ინდექსი განისაზღვრება იმპუტაციის მეთოდის გამოყენებით (იხ. თავი 4).

3.4 შესადარისობის კრიტერიუმები

იმისათვის, რომ ხარისხის ცვლილება ინდექსში არ აისახოს როგორც ფასის ცვლილება, შესადარისობის კრიტერიუმები მკაცრად არის დაცული. შესადარი სახეობამაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს სამომხმარებლო კალათისთვის წინასწარ განსაზღვრულ მახასიათებლებს. საანგარიშო და წინა პერიოდში დაფიქსირებული საქონელ-წარმომადგენელთა ფასების შესადარისობის დასადგენად ფასების რეგისტრატორი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- შესადარისად არ ითვლება სხვადასხვა სავაჭრო ობიექტიდან აღებული სახეობის ფასი;
- შესადარისად არ ითვლება სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებული მსგავსი სახეობის ფასი;
- შესაძლებელია ერთმანეთს შედარდეს მაქსიმალურად მიახლოებული ხარისხისა და მახასიათებლების მქონე ორი სახეობა (მაგალითად, ტანსაცმლის შემთხვევაში, თუ განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ფერია და ა.შ.);
- გაყიდვაში არარსებული სახეობისჩანაცვლების დროს, თუ განსხვავება საქონელშემცვლელისა და შესაცვლელი საქონლის ზომას ან წონას შორის არსებითია, საქონელშემცვლელი დამატება ახალი სახეობის სახით, სხვა შემთხვევაში საქონელშემცვლელი ჩაითვლება შესადარად.

4. პირობითი ფასების გაანგარიშების (ფასების იმპუტაციის) მეთოდი

საქონლის (მომსახურების) სახეობის გაყიდვაში არარსებობის შემთხვევაში ხდება პირობითი ფასის გაანგარიშება - ფასების იმპუტაცია. იმპუტირებული ფასი მიიღება აღნიშნულ სახეობაზე წინა თვეში დაფიქსირებული ფასისა და საანგარიშო თვის შესაბამისი უმცირესი ერთობლიობის ინდექსის ნამრავლით (იხ. ქვეთავი 8.1), რომელიც გაანგარიშებულია შესადარი სახეობების ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიულით. წინა თვის შესაბამისი უმცირესი ერთობლიობის ფასების არარსებობის შემთხვევაში ფასების იმპუტაციის დროს გამოიყენება ზედა დონის ჯგუფის ინდექსი.

მაგალითად, მარტის თვეში თუ უმცირესი ერთობლიობის ერთ-ერთ სახეობაზე (ბრენდი D), ფასი არ არის რეგისტრირებული, ამ სახეობის ფასის იმპუტაცია ხორციელდება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 2.

საქონლის/მომსახურების სახეობა	თებერვლის ფასი	მარტის ფასი	ფასების ფარდობა
ბრენდი A	7.00	7.00	1
ბრენდი B	6.50	6.90	1.06
ბრენდი C	7.00	7.20	1.03
ბრენდი D	6.00	-	
შესადარი ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიული (უმცირესი ერთობლიობის ინდექსი)			1.03

შესადარი ფასების უმცირესი ერთობლიობის ინდექსი = $(1 \times 1,06 \times 1,03)^{\frac{1}{3}} \approx 1,03$

ბრენდი D-ს იმპუტირებული ფასი = $6 \times 1,03 = 6,18$

საქონლის (მომსახურების) სახეობის გაყიდვაში დაბრუნების შემდეგ, საანგარიშო თვეში დაფიქსირებული რეალური ფასისთვის შესადარად გამოიყენება წინა თვის იმპუტირებული ფასი.

5. ხარისხობრივი ცვლილების კორექტირება

საქონლის ან მომსახურების სახეობის გაყიდვაში არყოფნის დროს, თუ საქონელშემცველი ხარისხობრივად ან რაოდენობით განსხვავდება შესაცვლელი სახეობისგან, ფასების შესადარისობისთვის საჭიროა ხარისხობრივი ცვლილების კორექტირების მეთოდის გამოყენება.

იმ შემთხვევაში, როცა ფასების რეგისტრატორი წინასწარ ფლობს ინფორმაციას მომდევნო თვეში ბაზარზე სახეობის არარსებობის, ან ობიექტის დახურვის შესახებ, ხარისხობრივი ცვლილების კორექტირებისთვის გამოიყენება **ნაწილობრივი გადაფარვის (overlap) მეთოდი**. აღნიშნული მეთოდის მიხედვით, მიმდინარე პერიოდში ფასებზე დაკვირვება ხორციელდება როგორც შემცვლელ, ასევე შესაცვლელ სახეობაზე. აღნიშნულ ფასებს შორის დაფიქსირებული სხვაობა მთლიანად მიეწერება ხარისხობრივ განსხვავებას. შესაცვლელი სახეობის ფასი მონაწილეობას იღებს მიმდინარე პერიოდის ინდექსის გაანგარიშებაში, საქონელშემცველის ფასი კი - მომდევნო პერიოდის ინდექსის გაანგარიშებაში.

მაგალითად, მარტის თვეში თუ რეგისტრატორისთვის ცნობილი ხდება, რომ ბრენდი C აპრილის თვეში გაყიდვაში აღარ იქნება, მარტის თვეში რეგისტრატორი აფიქსირებს საქონელშემცველის (ბრენდი D) ფასს, რომელიც მონაწილეობას იღებს აპრილის თვის ინდექსის გაანგარიშებაში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 3.

საქონლის/ მომსახურების სახეობა	თებერვლის ფასი	მარტის ფასი	აპრილის ფასი	ფასების ფარდობა (მარტი/თებერვალი)	ფასების ფარდობა (აპრილი/მარტი)
ბრენდი A	5.00	5.00	5.20	1	1.04
ბრენდი B	4.50	4.80	5.00	1.07	1.04
ბრენდი C	4.50	4.50	-	1	
საქონელშემცველი- ბრენდი D		5.20	5.50		1.06
შესადარი ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიული (უმცირესი ერთობლიობის ინდექსი)				1.02	1.05

შესაბამისად, მარტისა და აპრილის თვეების უმცირესი ერთობლიობის ინდექსები გაიანგარიშება შესადარი საქონლის ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიულით:

$$I_{03} = (1 \times 1.07 \times 1)^{\frac{1}{3}} = 1.02$$

$$I_{04} = (1.04 \times 1.04 \times 1.06)^{\frac{1}{3}} = 1.05$$

სახეობის გაყიდვაში ზედიზედ სამი თვის (სეზონურის შემთხვევაში 12 თვის) განმავლობაში არარსებობის შემთხვევაში, გაყიდვაში არარსებული სახეობის ჩანაცვლების მიზნით, ფასების რეგისტრატორი იქცევა 3.3 პუნქტის შესაბამისად. მე-3 ცხრილში მოცემულია გაყიდვაში არარსებული სახეობის ჩანაცვლების დროს ინდექსის გაანგარიშების მაგალითი.

ცხრილი 4.

საქონლის/მომსახურების სახეობა	თებერვლის ფასი	მარტის ფასი	აპრილის ფასი	მაისის ფასი	ივნისის ფასი	ფასების ფარდობა (ივნისი/მაისი)
ბრენდი A	5.00	5.00	5.20	5.40	5.40	1
ბრენდი B	4.50	4.80	5.00	5.00	5.20	1.04
ბრენდი C	4.70	4.85*	5.05*	5.15*		
საქონელშემცვლელი-ბრენდი D				5.20	5.50	1.06
შესადარი ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიული (უმცირესი ერთობლიობის ინდექსი)		1.03	1.04	1.02		1.03

* იმპუტირებული ფასი (გაანგარიშება შესრულებულია დაუმრგვალებელი რიცხვებით)

მარტის, აპრილისა და მაისის ინდექსები გაიანგარიშება მხოლოდ შესადარი სახეობების ფასების ფარდობის საშუალო გეომეტრიულით, რომელთა საფუძველზეც აღნიშნულ თვეებში მიიღება იმპუტირებული ფასი C ბრენდისთვის. მაისის თვეში კი ფიქსირდება საქონელშემცვლელის ფასი, რომელიც ინდექსის გაანგარიშებაში მონაწილეობას იღებს ივნისის თვიდან. მაისის თვეში C და D ბრენდებზე დაფიქსირებული ფასთაშორისი სხვაობა მთლიანად მიეწერება ხარისხობრივ განსხვავებას.

6. მონაცემთა კონტროლი

სამომხმარებლო ფასების ინდექსის მონაცემთა კონტროლი ხორციელდება 2 ეტაპად:

პირველ ეტაპზე კონტროლი ხორციელდება ფასების რეგისტრაციის სავსელე სამუშაოების პარალელურად. თუ რეგისტრირებული ფასი სცდება მოცემული

საქონლისთვის (მომსახურებისთვის) ფასების წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ შუალედს, პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებულია კონტროლები, რომლებიც რეგისტრატორს ფასის გადამოწმების მითითებას აძლევს. ფასის სისწორეს ფასების რეგისტრატორი ადასტურებს კომენტარის საშუალებით. რეგისტრირებული მონაცემები იმავე დღეს იგზავნება ცენტრალურ ოფისში, სადაც ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება შესაბამის ქალაქზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ და მისი მითითებით, საჭიროების შემთხვევაში რეგისტრატორი ახორციელებს ფასების გადამოწმებას.

მეორე ეტაპზე პირველადი მონაცემების ანალიზი ხორციელდება ცენტრალურ ოფისში ინდექსებისა და საშუალო ფასების გაანგარიშების შემდეგ, რომლის დროსაც ხდება:

1. ექვსივე ქალაქში დაფიქსირებული დეტალური და ჯგუფის ინდექსების ერთმანეთთან შედარება და საშუალო მნიშვნელობიდან მკვეთრად განსხვავებული ინდექსების სისწორის გადამოწმება;
2. საშუალო ფასებისა და დეტალური ინდექსების დინამიკის გაანალიზება.

უმცირესი ერთობლიობის ინდექსი საიმედოდ ითვლება ზემოაღნიშნული კონტროლის ეტაპების გავლის შემდეგ, ქალაქების დონეზე დაფიქსირებული შესადარი ფასების რაოდენობის მიუხედავად.

7. წონები

სამომხმარებლო კალათის ჯგუფებისა და ინდივიდუალური საქონლის (მომსახურების) წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას და ასახავს მონეტარული დანახარჯების უახლეს მონაცემებს ქვეყნის მასშტაბით. წონების გაანგარიშების დამატებით წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაცია. მიღებული წონები წარმოადგენს საქონელზე (მომსახურებაზე) გაწეული მონეტარული დანახარჯების წილს მონეტარული სამომხმარებლო დანახარჯების მთლიან მოცულობაში.

ქალაქის წონები გამოითვლება სამომხმარებლო მონეტარული დანახარჯების მთლიან მოცულობაში შესაბამისი რეგიონის დანახარჯების წილის მიხედვით. ქალაქის წონების განსაზღვრა ასევე ეფუძნება ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებს.

წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, ზემოაღნიშნული წყაროებიდან მიღებული უახლესი მონაცემების გამოყენებით. t პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება $t-2$ პერიოდის მონაცემები. მაგალითად, 2012 წლისთვის წონების საბაზო პერიოდია 2010 წელი. წონების ყოველწლიური განახლების დროს

შეიძლება შეიცვალოს სამომხმარებლო კალათაში წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალიც.

HICP წონების გაანგარიშებისას დამატებით გამოიყენება წონების ე.წ. „ფასით განახლება“ (price updating). ამ დროს $t-2$ პერიოდის მონაცემები კორექტირდება $t-2$ პერიოდიდან t პერიოდამდე ფასების ცვლილების მაჩვენებლის მიხედვით. აღნიშნულ მიდგომას ორი ძირითადი მიზეზი გააჩნია:

- უზრუნველყოს ქვეყნებს შორის გაანგარიშების შესადარისი, ჰარმონიზებული პროცესი. წონების ერთნაირი საბაზო პერიოდის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნებს შორის HICP-ის აგრეგირება და ანალიზი;
- შესაბამისობაში მოიყვანოს წონებისა და ფასების საბაზო პერიოდები. ვინაიდან დანახარჯების შესახებ ინფორმაცია შედარებით გვიან ხდება ხელმისაწვდომი, წონების საბაზო პერიოდი ($t-2$) წინ უსწრებს ფასების საბაზო პერიოდს (დეკემბერი $t-1$). ფასით განახლების შედეგად ეს ორი საბაზო პერიოდი შესაბამისობაში არის მოყვანილი.

აღსანიშნავია, რომ წონების ფასით განახლება არ წარმოადგენს წონების რეგულარული განახლების ალტერნატივას, ვინაიდან ის არ ცვლის მოხმარების რაოდენობებს.

8. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება სხვადასხვა დონეზე

8.1 სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლის (მომსახურების) უმცირესი ერთობლიობის ინდექსის გაანგარიშება

სამომხმარებლო კალათაში შემავალი ყოველი i -ური საქონელი (მომსახურება) წარმოდგენილია მისი სახეობების ერთობლიობით. ამგვარი საქონლისათვის/მომსახურებისთვის ქალაქის დონეზე ხდება უმცირესი დონის ინდექსის გაანგარიშება. სქემა #1 გვიჩვენებს სამომხმარებლო კალათის სტრუქტურას ქალაქისთვის, სადაც უმცირესი ერთობლიობის ინდექსს წარმოადგენს ბრინჯი, წიწიბურა და სხვა უმცირესი ერთობლიობები. უმცირესი ერთობლიობის მოკლევადიანი ინდექსი მიიღება საანგარიშო (t) და წინა ($t-1$) პერიოდების შესადარი საქონლის საშუალო გეომეტრიული ფასების ფარდობით.

$$I_i^{t/t-1} = \left(\prod_{j=1}^n \frac{p_j^t}{p_j^{t-1}} \right)^{1/n} = \frac{(\prod_{j=1}^n p_j^t)^{1/n}}{(\prod_{j=1}^n p_j^{t-1})^{1/n}}$$

სადაც:

$I_i^{t/t-1}$ არის i -ური საქონლის (მომსახურების) უმცირესი ერთობლიობის ინდექსი საანგარიშო t პერიოდში წინა $t-1$ პერიოდთან შედარებით;

j - საქონლის j -ური სახეობა, რომლისთვისაც დაფიქსირდა შესადარი ფასი;


p_j^t – საქონლის j -ური სახეობის ფასი t პერიოდში;

p_j^{t-1} - საქონლის j -ური სახეობის ფასი $t-1$ პერიოდში.

უმცირესი ერთობლიობის გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით მიიღება უმცირესი ერთობლიობის მოკლევადიანი ინდექსების ნამრავლით.

ეროვნული ინდექსის გაანგარიშება ხდება ქალაქის დონეზე მიღებული ინდექსების შეწონვით რეგიონალური დანახარჯების სტრუქტურის შესაბამისად.

სქემა#1. სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა ქალაქის დონეზე



8.2 სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცალკეული ჯგუფებისა და მთლიანი სამომხმარებლო კალათისთვის ქალაქის დონეზე

სამომხმარებლო ფასების გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით მთლიანი სამომხმარებლო კალათისთვის გამოითვლება ლასპეირესის ტიპის შემდეგი ფორმულით:

$$I^{t/0} = \sum_{i=1}^n \left(I_i^{t/0} \right) \times s_i^b, \text{ სადაც:}$$

$I_i^{t/0}$ არის i -ური საქონლის (მომსახურების) უმცირესი ერთობლიობის გრძელვადიანი ინდექსი ფასების საბაზო (0) პერიოდთან შედარებით;

$s_i^b = \frac{p_i^b q_i^b}{\sum p_i^b q_i^b}$ არის i -ური საქონლის (მომსახურების) წონა წონების საბაზო პერიოდში, რომელიც წარმოადგენს i -ურ კომპონენტზე დანახარჯების წილს მთლიან სამომხმარებლო დანახარჯებში და $\sum_{i=1}^n s_i^b = 1$;

p_i^b - i -ური საქონლის (მომსახურების) ფასი წონების საბაზო (b) პერიოდში;

q_i^b - წონების საბაზო (b) პერიოდში მოხმარებული i -ური საქონლის (მომსახურების) რაოდენობა.

ამავე ფორმულით ხდება ზედა დონის ერთობლიობის ინდექსის გაანგარიშება ქალაქის დონეზე. ზედა დონის ერთობლიობის ინდექსი მიიღება მასში შემავალი უმცირესი ერთობლიობების გრძელვადიანი ინდექსების შეწონვით, სადაც წონების ჯამი უდრის 1-ს.

ცალკეული ერთობლიობების ან მთლიანი კალათის მოკლევადიანი ინდექსი წინა თვესთან შედარებით მიიღება საანგარიშო და წინა პერიოდის ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გრძელვადიანი ინდექსების ფარდობით.

8.3 ინდექსების გაანგარიშება ეროვნულ დონეზე

ეროვნული ინდექსი წარმოადგენს ცალკეული ქალაქების უმცირესი ან ზედა დონის ერთობლიობების ინდექსების შესაბამისი ქალაქების წონებით შეწონილ არითმეტიკულ საშუალოს.

მოკლევადიანი ინდექსები წინა თვესთან შედარებით ეროვნულ დონეზე, ისევე როგორც ქალაქების დონეზე, მიიღება საანგარიშო და წინა პერიოდის ფასების საბაზო პერიოდთან შედარებით გრძელვადიანი ინდექსების ფარდობით.

8.4 ჯაჭვური ინდექსი

სამომხმარებლო კალათის ან საქონელ-წარმომადგენელთა სპეციფიკაციების ყოველწლიური განახლების პერიოდში, დეკემბრის თვეში, მიმდინარეობს ფასების შეგროვება როგორც ძველი, ასევე ახალი კალათის სახეობებისთვის, რაც განსხვავებული კალათების ჯაჭვური გადაბმის საშუალებას იძლევა. ჯგუფის წონების ან კომპონენტების ცვლილების მიუხედავად, ინდექსების ჯაჭვური გადაბმით შესაძლებელია ჯგუფის ინდექსის გაანგარიშება გრძელვადიანი საბაზო პერიოდით.

მაგალითად, 2011 წლის დეკემბრამდე 2009 წლის დეკემბერთან შედარებით გაანგარიშებული მთლიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსისთვის გამოიყენებოდა w_i წონები, ხოლო 2012 წლიდან დაწყებული ინდექსის გაანგარიშება ხდება 2011 წლის დეკემბერთან შედარებით, k_i წონების გამოყენებით (იხ. ცხრილი 4).

X_1 (ცხრილი 4.) წარმოადგენს 2012 წლის იანვრის ინდექსს (ჯაჭვურ ინდექსს), რომელიც გაანგარიშებულია 2009 წლის დეკემბრის ბაზით და მისი გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:

ცხრილი 5.

12.2009=100	12.2011=100
$12.2011:I^{12.11/12.09} = \sum_i I_i^{12.11/12.09} \times w_i = 106$	$12.2011:I^{12.11/12.11}=100$
X_1	$01.2012:I^{01.12/12.11} = \sum_i I_i^{01.12/12.11} \times k_i = 102$

$$\frac{106}{X_1} = \frac{100}{102}, \text{ საიდანაც } X_1 = \frac{106 \times 102}{100} \approx 108$$

აღნიშნული შედეგი მიიღება შემდეგი ჯაჭვური გადაბმითაც:

$$I^{12.2011/12.2009} \times I^{01.2012/12.2011} = 106 \times 102/100 \approx 108$$

8.5 საბაზო ინფლაცია

საბაზო ინფლაცია წარმოადგენს ინფლაციის მაჩვენებელს, რომელშიც არ არის გათვალისწინებული სეზონური კომპონენტი და ყველაზე მეტად ცვალებადი ფასების მქონე პროდუქტები. მისი დანიშნულებაა ინფლაციის ძირითადი დინამიკის (ტენდენციის) ასახვა და ამიტომ წარმოადგენს მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინსტრუმენტს ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შეფასებისთვის.

საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი მიიღება სამომხმარებლო ფასების ინდექსის საერთო მაჩვენებლის საფუძველზე, წონების იმავე სტრუქტურისა და ფორმულის ტიპის გამოყენებით. საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიის ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით, საბაზო ინფლაცია გაიანგარიშება სამომხმარებლო კალათიდან ცალკეული საქონლისა და მომსახურების გამორიცხვით.

საქართველოში საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები;
- თამბაქო (კონკრეტულ შემთხვევებში);
- ენერგომატარებლები (ბენზინი, დიზელის საწვავი, გაზის საწვავი, გაზი გათხევადებული, შეშა);
- ადმინისტრირებადი ტარიფები (წყლის, ნაგვის გატანის, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახდელები);
- ტრანსპორტი (საგარეუბნო და შორის მიმოსვლის მატარებლით, საგარეუბნო ავტობუსით და საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტით, საქალაქო ტაქსით და თვითმფრინავით მგზავრობა).

9. მონაცემთა გავრცელება

9.1 პრეს რელიზი

პრეს რელიზი სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესახებ ყოველთვიურად ქვეყნდება საქსტატის ვებ-გვერდზე. მასში მოცემულია ინფლაციის ყოველთვიური და წლიური მონაცემები და ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში მონაწილე ჯგუფების შესაბამისი წვლილები. რელიზი ასევე მოიცავს სხვადასხვა ჭრილში ფასების დინამიკას გრაფიკის სახით.

9.1.1 ჯგუფების წვლილი მთლიანი ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში

ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში ჯგუფების მიერ შეტანილი წვლილების გამოთვლა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანალიზების მნიშვნელოვანი საშუალებაა. სამომხმარებლო კალათის ცალკეული ჯგუფის ფასების ცვლილების წვლილი მთლიანი ინდექსის ცვლილებაში აღნიშნავს პროცენტულ სხვაობას, რომელიც გამოწვეული იქნებოდა მხოლოდ ამ ჯგუფის ინდექსის ცვლილებით, სხვა დანარჩენი ჯგუფების ინდექსების უცვლელობის პირობებში.

ქალაქის დონეზე სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლის ან მომსახურების ფასის ცვლილების წვლილის დათვლა ინდექსის მაჩვენებელში ხორციელდება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\left(\frac{I_t^i - I_{t-1}^i}{I_{t-1}^a}\right) \times w_t^i \times 100$$

სადაც:

I_t^i - i -ური კომპონენტის გრძელვადიანი ინდექსი t პერიოდში;

I_{t-1}^i - i -ური კომპონენტის გრძელვადიანი ინდექსი $t-1$ პერიოდში;

I_{t-1}^a - სამომხმარებლო ფასების გრძელვადიანი ინდექსი მთლიანი კალათისთვის $t-1$ პერიოდში;

w_t^i - i -ური კომპონენტის წონა t პერიოდის სამომხმარებლო კალათაში.

შესადარებელ პერიოდებს შორის წონის ცვლილების შემთხვევაში i -ური კომპონენტის წვლილი გამოითვლება შემდეგი ფორმულის საფუძველზე:

$$\left(\frac{I_L^i - I_{t-12}^i}{I_{t-12}^a}\right) \times w_{t-12}^i \times 100 + \left(\frac{I_t^i - 100}{I_{t-12}^a}\right) \times I_L^a \times w_t^i$$

სადაც:

I_L^i - i -ური კომპონენტის გრძელვადიანი ინდექსი წონების ცვლილების პერიოდში;

I_{t-12}^i - i -ური კომპონენტის გრძელვადიანი ინდექსი $t-12$ პერიოდში;

I_{t-12}^a - სამომხმარებლო ფასების გრძელვადიანი ინდექსი მთლიანი კალათისთვის $t-12$ პერიოდში;

w_{t-12}^i - i -ური კომპონენტის წონა $t-12$ პერიოდის სამომხმარებლო კალათაში;

I_t^i - i -ური კომპონენტის გრძელვადიანი ინდექსი t პერიოდში;

I_L^a - სამომხმარებლო ფასების გრძელვადიანი ინდექსი მთლიანი კალათისთვის წონების ცვლილების პერიოდში;

w_t^i - i -ური კომპონენტის წონა t პერიოდის სამომხმარებლო კალათაში.

მაგალითი: ჯგუფის შესაბამისი წვლილის გაანგარიშება წონის ცვლილების შემთხვევაში

ზემოთ მოცემული ფორმულის გამოყენებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების ცვლილების წვლილი 2012 წლის ოქტომბრის თვის

ინდექსში, 2011 და 2012 წლების შესაბამისი წონების (0,35; 0,28) გათვალისწინებით, გამოითვლება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 6.

ინდექსები წინა წლის დეკემბერთან შედარებით				
	დეკემბერი 2010	ოქტომბერი 2011	დეკემბერი 2011	ოქტომბერი 2012
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	100,0	101,2	101,7	102,2
მთლიანი ინდექსი	100,0	101,6	103,2	101,8

$$\text{წვლილი} = \frac{(101,7-101,2)}{101,6} \times 0,35 \times 100 + \frac{(102,2-100)}{101,6} \times 0,28 \times 103,2 \approx 0,8\%$$

მოცემული მონაცემების მიხედვით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წვლილმა 2012 წლის ოქტომბრის თვის ინდექსში 0,8 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

9.2 სამომხმარებლო ფასების ინდექსის დროითი მწკრივები

პრეს რელიზთან ერთად, საქსტატის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება სამომხმარებლო ფასების ინდექსების დროითი მწკრივები სხვადასხვა ჭრილში:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსები წინა თვესთან შედარებით;
2. სამომხმარებლო ფასების ინდექსები გრძელვადიან საბაზო პერიოდთან შედარებით;
3. სამომხმარებლო ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით;
4. სამომხმარებლო ფასების ინდექსები 12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან შედარებით.

HICP-ის მონაცემები ასევე ყოველთვიურად ქვეყნდება, შემდეგი დროითი მწკრივების სახით:

1. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსები წინა თვესთან შედარებით;
2. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

გამოქვეყნებული ინდექსები დამრგვალებულია ოთხ ციფრზე და წარმოადგენს საბოლოო მონაცემებს.

ინდექსის დროითი მწკრივების მონაცემებს ვებ-გვერდზე დართული აქვს შესაბამისი გრაფიკები.


მონაცემები ასევე ხელმისაწვდომია მონაცემთა გავრცელების პროგრამის, PC-Axis-ის საშუალებითაც. PC-Axis არის შვედეთის სტატისტიკის ბიუროს მიერ შექმნილი პროგრამული პროდუქტი. იგი წარმოადგენს მონაცემთა გავრცელების კომპლექსურ სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს საქსტატის ვებ-გვერდიდან (www.geostat.ge) მიიღოს საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, სხვადასხვა სახით (მაგ., ტექსტურ ან ელექტრონულ ფორმატში, გრაფიკის სახით და სხვ.).

ინფორმაცია სამომხმარებლო ფასების ინდექსების შესახებ აგრეთვე ვრცელდება ანდროიდის პლატფორმის მქონე მობილური ტელეფონის აპლიკაციის საშუალებით.

სქემა # 2 ასახავს სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების ეტაპებსა და მათ პერიოდულობას.

სქემა #2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების ეტაპები

ყოველწლიურად განსახორციელებელი სამუშაოები:



ყოველთვიურად განსახორციელებელი სამუშაოები:

